



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 16
02/03/2016

16-06-4-201603021922



განკარგულება № 16

2016 წელი, 2 მარტი
ქ. ოზურგეთი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების
ანგარიშის დამტკიცების შესახებ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელმაც მოისმინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ, აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობას, არსებული კანონმდებლობისა და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს სერიოზული მუშაობა აუცილებელი პრობლემების გადაჭრის მიზნით; გამომდინარე აქედან, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა.“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა.“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დამტკიცდეს. (თანახმად დანართისა)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო